



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

**REAP** Restoring Efficiency to Agriculture Production  
საპარტოვალოს სასოფლო-სამეურნეო  
წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტი

**დაუყოვნებელი გაგრძელებისთვის**  
**2015 წლის 23 მარტი**

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ :  
მაკა ნოსელიძე – USAID/REAP საზოგადოებასთან ურთიერთობის  
სპეციალისტი  
მობ: 591192919; ელ.ფოსტა: [mnoselidze@georgiareap.org](mailto:mnoselidze@georgiareap.org)

## პრესრელიზი

### USAID/REAP-ის სტრატეგიული პლატფორმა „გენდერულად თანასწორუფლებიანი სოფლის მეურნეობის განვითარები“-ს გახსნის ცერემონია

**31 მარტს, 11 საათზე, სასტუმრო ბეტსი-ში** ქალთა ისტორიული თვის აღსანიშნავად და USAID/REAP-ის გენდერული სტრატეგიის შესაბამისად შედგა USAID/REAP-ის სტრატეგიული პლატფორმის „გენდერულად თანასწორუფლებიანი სოფლის მეურნეობის განვითარება“ გახსნის ცერემონია.

USAID/REAP-ს სტრატეგიული პლატფორმის მიზანია ხელი შეუწყოს ქალი აგრომეწარმეებისა და ახალგაზრდა აგრომეწარმეების ჩართულობას აგრობიზნესში და ასევე, გენდერულად სენსიტიური თუ გენდერულად თანასწორუფლებიანი აგროსაწარმოების განვითარებას საქართველოში.

სტრატეგიული პლატფორმა ხელს შეუწყობს გენდერული ანალიზის უკეთ ჩატარებას ანუ გენდერული პრობლემების უკეთ შესწავლას. USAID/REAP-ი მოახდენს გენდერულად თანასწორუფლებიანი აგროსაწარმოების განვითარების, ქალი აგროპრინიპორებისა და ახალგაზრდა აგროპრინიპორების აგრობიზნესში ჩართულობის ეფექტური მაგალითებისა თუ არსებული ბარიერების შესწავლას და გამოიყენებს ამ მასალას საინფორმაციო კამპანიის დროს. ამასთან, კონტრაქტით დაკისრებული ვალდებულებების მიხედვით, USAID/REAP-ი მოახდენს პლატფორმის წევრების საჭიროებების შესწავლას, რათა შეიმუშავოს ქალთა და ახალგაზრდა პროფესიონალებისათვის მენტორობის პროგრამა.

USAID/REAP წარმოადგენს ხუთწლიან პროგრამას, რომლის ბიუჯეტი შეადგენს **\$19.5 მილიონს**. პროგრამის მიზანია **სოფლად შემოსავლების ზრდა და სამუშაო ადგილების შექმნა**, აგრობიზნესში ინვესტიციების მოზიდვა და ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა. კერძოდ, გათვალისწინებულია მექანიზაციისა და ფერმერთა მომსახურების ცენტრების, სასაწყობო მეურნეობის, დამახარისხებელი, მცირე და საშუალო ზომის გადამამუშავებელი საწარმოების დახმარება, რის შედეგადაც ამაღლდება სოფლის მეურნეობის დარგში არსებული მომსახურების ხარისხი. პროექტი ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის დარგში ინვესტიციების მოზიდვას, შეამცირებს სოფლად მცირე და საშუალო საწარმოებისა და მეწარმეთათვის არსებულ რისკ - ფაქტორებს, გააძლიერებს მდგრად კომერციულ კავშირებს მომსახურების ცენტრებს, მწარმოებლებს, სასაწყობო საწარმოებსა და ადგილობრივ ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიებს შორის. პროგრამა უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას გრანტის მიმღებ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის, რაც ხელს შეუწყობს სოფლად დასაქმების მაჩვენებლის ზრდას.

\*\*\*

*USAID საქართველოში: ბოლო 22 წლის განმავლობაში ამერიკელმა ხალხმა USAID-ის მეშვეობით 1.5 მილიარდ დოლარზე მეტი დახმარება გაუწია საქართველოს. USAID-ს მიერ განხორციელებული პროექტები მიზნად ისახავს, დახმარება გაუწიოს საქართველოს თავისუფალ დემოკრატიაზე გადასვლის პერიოდში. მათი ინიციატივის შემწეობით ჩქარდება ეკონომიკის ზრდა, ვითარდება დემოკრატიული ინსტიტუტები და უმჯობესდება ჯანდაცვისა და განათლების სფეროები. USAID 100-ზე მეტ ქვეყანას უწევს ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ საიტს - <http://georgia.usaid.gov>*